სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება N 01-02/183

ბსუ-ს ფაკულტეტებზე 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში
პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სასწავლო დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 სექტემბრის №1169923 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ფაკულტეტებზე 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **,,პირველსემესტრელის სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა რაოდენობა (კვოტა) განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   ა) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე – 3 სტუდენტი;
   ბ) ტურიზმის ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   გ) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   დ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 4 სტუდენტი;
   ე) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 4 სტუდენტი;
   ვ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 5 სტუდენტი;
   ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 3 სტუდენტი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ,,პირველსემესტრელის სტიპენდიის“ რაოდენობა (კვოტა) შესაძლებელია გაიზარდოს, თუკი გამოვლინდება თანაბარი ქულების მქონე კანდიდატები, თანახმად ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესისა“ (შემდეგში ,,სტიპენდიის წესი“).
3. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,პირველესემესტრელის სტიპენდიის“ მიმღები კანდიდატების შესახებ (ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაზე ორით მეტი ოდენობა) ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს ბსუ-ს რექტორთან, არაუგვიანეს 2025 წლის 02 ოქტომბრისა, ,,სტიპენდიის წესის“ მე-3 მუხლით განსაზღვრული შინაარსის შესაბამისად, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით (მონაცემები უნდა გადამოწმდეს და ვიზირებული უნდა იქნეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო - ეკონომიკურ დეპარტამენტს,

სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე